ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 207

კვირა, 26 სექტემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 207

კვირა, 26 სექტემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გაბრ. იოს.

## გოკიელოვი

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.

ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთიშვილის სახლი, № 20.

(40—140—12)

უკანასკნელი წარმოდგენა.

კვირას, 26 სექტემბერს,

ქართულის სცენის მოყვარეებისაგან

წარმოდგენილი იქმნება

თ. აკ. წერეთლის პიესა, რომელიც ხელახლა შესწორებული და დასტამბულია

I

## კინტო

კომ. 3 მოქმედებად

II

### პარიკმახერისას

ხუმრობა ერთ მოქმედ. თ. რ. ერისთავისა

III

დივერტისმენტი და **ლეკური**

ადგილების ფასი 20 კ. ვიდრე 1 მ. 50 კ., დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. გათავდება 11 საათზედ.

გამგე შ. საფაროვი.

ტფილისის ხელოსანთა ამხანაგობა

## „შ რ ო მ ა"

მადათოვის კუნძულზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. სახელოსნოს აქვს დამზადებული სახლის სხვა-და-სხვა მოწყობილებანი და ავეჯეულობა სახელოსნო ზომიერ ფასად კისრულობს სხვა-და-სხვა ავეჯის და კარ-ფანჯრების გაკეთებას.

(6—144—5)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორ-შაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. გეგთაგევოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**ქ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**ვ. მ. მახვილაძე**—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—2—3 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

გუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (კარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშნვით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

(—1—წ).

## ნაფიცი ვექილი

თ. მიხეილ ნიკოლოზის ძე

## ვეზიროვი

გადავიდა სუდიბნი ქუჩაზედ, მულინის სახლში, № 30, შესავალი დავიდოვის ქუჩიდამ.

მსურველთ მიიღებს 8—10 საათამდე დილით და საღამოს 6—8 საათამდე.

(2—157—2)

ქ. ტფილისში

ექიმი ნიკო თომას ძე

## ერისთავი

სწამლობს შინაგანისა და ნერვებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 11-დგან $12^1/_2$ საათამდე, საღამოს 7-დგან 8 საათამდე. მადერის ქუჩა, მამულოვის სახლი. (10—145—8)

კვირას, 26 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

ს ა გ ა ნ გ ე ბ ო

## საზოგადო კრება

ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგ.

## „შუამავალის".

განსახილველია დროებითი გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეების მდგომარეობის შესახებ.

ამხანაგობის წევრთ ცალკ-ცალკე ბარათები არ გაეგზავნებათ.

რადგანაც ეს კრება მეორეა, რამდენი წევრიც უნდა დასწროს, კანონიერად ჩაითვლება. (3—6.—3)

### მთავრობის განკარგულებანი

—

ჩარიცხულ იქმნა უვადოდ მე 80 ქვეითა რაზმის პოდპორუჩიკი თავ. წულუკიძე სათადარიგო ქვეითა ჯარში (ქუთაისის მაზრაში).

გამორიცხულ იქმნა: ყუბის მე-155 ქვეითა ჯარის სიიდგან პოდპორუჩიკი წინამძღვარიშვილი.

ეროძათ: კოლეჟსკი ასესორობა ტიტულიარნი სოვეტნიკს—ერევნის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს მდივნის თანაშ. ჯლამსრულებლს ფარეიშვილს; გუბერნსკი სეკ-

## ფელეტონი

* * *

მსურს დავამხო ტახტი უსამართ-
ლობის,
მსურს შევმუსრო ძალა უძლურთ
მჩაგვრელი...
ღმერთო, ღმერთო! მომმადლე ძალა
ბრძოლის,
რომ ვადიდო მარად შენი სახელი.

—

მსურს სიმართლის დროშა ავაფ
რიალო,
მსურს სამართალს გავუნათო გზა
ბნელი...
ღმერთო, ღმერთო! მომმადლე უძ
ლურს ძალა,
რომ შევიქნე შენის მცნების დამცველი.

ვ. რუხაძე.

### მხოლიო ტვინი

(გერმანულიდგან)

— მარიენბადენში წამლობა ამ ჟამად ორ წელიწადს მეყოფა, მკურნალო, არა!—მიჰმართა ბუტტემ თავის მკურნალს.

— 1900 წელს ახლა პარიჟის გამოფენაზედ წავალ ზაფხულში!

— მერე, თქვენის აზრით, გამოფენა აუცილებლივ გაიმართება?—შეეკითხა მკურნალი.

სასწორითაც-კი რომ დაენახვებინა ვისმე ბ-ნ ბუტტესათვის, რომ ოთხის კვირის განმავლობაში Kreuzbrunnen-ის სარგებლობით ასი კილო სიმძიმე მოემატა, ეს უკანასკნელი გარემოებაც-კი ამ კითხვაზედ მეტად არ გააკვირვებდა.

— არა, ბ-ნო, მოითმინეთ, თქვენ ასეთი სისულელის თქმა ხუმრობის დროსაც-კი არ დაგეთმობათ,—შეჰნიშნა ბუტტემ მკურნალს. არა, მაშ რა მოელის ჩემ მიერ უკვე დახარჯულს 20 ათასს მანეთს, რომელიც მარსის მინდორზედ ფარდულის აშენებას მოუნდა, სადაც განზრახვა მაქვს მომავალში ვუჩვენო ხალხს ახალი სისტემა ძალთა გადაცემისა? ან იმ მილლიონებს, რომლებიც სხვებმა დახარჯეს? არა, იფიქრეთ ერთი რა შენობები დადგეს, რას არ დაჰპირდნენ უცხო სახელმწიფონი, ან მთელს დედამიწის ზურგზედ მსოფლიო გამოფენის ბილეთები როგორ გაგიჟებით იყიდება.

— ყველა ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ ამ საქმესაც მკურნალის თვალით ვუცქერი. მძიმე ავადმყოფს დღესასწაულის გადახდა არ შეუძლიან, ვერც თითონ ტანჯვის ადგილი შეიქნება უცხოელთათვის თავგასართობად.

ბუტტემ მხრები აიწია.

— მაშ აგრეა საქმე!—წამოიძახა ბუტტემ. ახლა-კი მესმის, რასაც ჰფიქრობთ, ჩემო კეთილო მკურნალო, თქვენ ცოტა არ იყოს აჭარბებთ. არ იცით განა, რომ ჩემებრ საქმიანს კაცს ევენი არ უნდა უთხრათ. დრეიფუსის საქმეს ჰგულისხმობთ არა? მაგრამ იცოდეთ, ეს ამბავი მხოლოდ საგაზეთო მწერლების თვალშია ყურადღების ღირსი. საქმიანს ხალხს-კი ეს ამბავი გენერლების ოინებისა, ეს პროცესი და მთლად ეს საპოლიტიკო დომხალი აინუნშიაც არ მოსდის. მიზეზიც ეს არის, რომ საზამთროდ ყველაზედ ლამაზი ქუდები ძველებურად ისევ პარიჟში იკერება, რომ მთელის ქვეყნის საუკეთესო მოდის მკერვალი ქალები ისევ პარიჟისაკენ მიიმტვრევიან თავ-პირს საუკეთესო ნიმუშებისათვის. ამ ამბის გამო, წარმოიდგინეთ, პარიჟში ნაკეთებ ავტომობილების რიცხვს ერთი ცალიც არ დაჰკლებია, კვლავ ძველებურის ხალისით იწერება მხიარული კომედიები. საუკეთესო შანსონეტკებიც ისევ პარიჟში იბადება. ერთის სიტყვით, პარიჟი ისევ პარიჟია და ფრანგები სრულიადაც არა სცდებიან, რომ თავისს სატახტო ქალაქს Ville-lumiére „ქალაქს სინათლისასა" და „ქვეყნის თავს" ეძახიან.

მკურნალი ჩუმად უგდებდა ყურს, ბოლოს მიჰმართა:

— იმ ქალაქისათვის, რომელსაც ქუჩები საკმაოდ არა აქვს განათებული, და იმ ხალხისათვის, რომელსაც მუდამ წამს გზა-კვალი ებნევა და თავს ჰკარგავს, მართლაც რომ ეს სახელები ზედ გამოჭრილია.

ბუტტე თან და თან უფრო მეტად ჰღელდებოდა.

— მეტ-ნაკლები რიცხვი ელექტრონის ლამპარებისა ჯერ კიდევ არ არის მომასწავებელი სრულის ბედნიერებისა. არც მცხოვრებლები ჰკარგვენ გონებას, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ეს ხალხი ჩვენზედ მეტად ცოცხალი და მომქმედია. არ მახსოვს, ვიქტორ ჰიუგომ თუ ვინ სთქვა ესა, მაგრამ მე მაინც ვეთანხმები, რომ პარიჟი ქვეყნის თავია.

მკურნალმა გაიღიმა.

— კარგი,—მიუგო მან: მეც თქვენს შეხედულებას დავადგები, რომ მსოფლიო გამოფენის ავ-კარგიანობა უკეთესად გავითვალისწინოთ. როგორც თქვენ ამბობთ, თუ მართლა პარიჟი „თავია", მაშინ ყველა უკანასკნელი ამბავი ტვინის დღევანდელმ ვითარებას უნდა შევუწონოთ. და მართლაც, ამ ბოლოს დროს პარიჟის მცხოვრებთა შორის ტვინის ყოველგვარმა ავადმყოფობამ იჩინა თავი. გთხოვთ მოთმინება იქონიოთ და ბოლომდის მომისმინოთ. პირველი ამათგანი—ეს ანთებაა, რომელიც ბნედის მაგვარად იჩენს ხოლმე თავს. ისინი, რომლებიც ზოლას სენაში დარჩობას უპირებდნენ, ღერულედს აქეზებდნენ, რომ სახელმწიფო ცვლილება მოეხდინა და პრეზიდენტის მოკვლას ჰლამობდნენ, ამ ბნედის ნიშნებით—ეპილეპსიით—იყვნენ შეპყრობილნი. პროგრესსიული ანთება ყოველგვარ სულიერ თვისებათა სწირავს ადამიანს, აზრს სრულიად უხშობს, მგრძნობელობას უკარგავს, ნებას უუქმებს. ყოველსავე ამას პა-

რეტრობა კოლეჟსკი რეგისტრატორთ ბაქოს გუბერნიის გოქჩაის მომრიგებელ შუამავლს ოცხელს; განჯის ქალაქის პოლიციის ბოქაულის თანამდ. აღმასრულებელს მამულაიშვილს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა განჯის გუბერნატორის კანცელარიის თარჯიმანის თახამდ. აღმასრულებელს ვექილიშვილს.

იმ ქართველთა სია, რომელთაც მედლები ებოძათ წარწერით „გულმოდგინეობისათვის“.

სტანისლავის ლენტით მკერდზედ ჩამოსაკიდებლად. ოქროს მედლები: ოზურგეთის მაზრის საერო დარაჯს გლეხს ივანე ნინიძეს და ოზურგეთის პოლიციის სამმართველოს გზირს გლეხს გახუშტი ლლონტს.

ვერცხლის მედლები: ოზურგეთის მაზრის სასოფლო საზოგადოებათა მამასახლისებს; დვაბზუსას—გლეხს ივლიანე ხავთასის და ჯუმათისას გლეხს ელისე გაგუას; საერო დარაჯს გლეხს ჯაბუდო უჯმაჯურიძეს; ლეჩხუმის მაზრის პოლიციის სამმართველოს გზირს გლეხს გოგიჩინა ჩაჩხიანს; ლაილაშის სასოფლო საზოგადოების მამასახლისად ნამყოფს გლეხს ოქრობირ კარსელაძეს; სენაკის მაზრის აბაშის პოლიციის სამმართველოს ათის თავს გლეხს ფილიპე ჯოჯუას; რაჭის მაზრის ხვანჭკარის სასოფლო საზოგადოების მამასახლისად ნამყოფს გლეხს ბიჭია სვანიძეს; ონის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს გლეხს სიმონ მოსიძეს; ქუთაისის ნაწილის ბოქაულის გზირს გლეხს ავთანდილ ბუხაიძეს; შორაპნის მაზრის სოფ. წირქვალის გლეხს ივანე გაფრინდაშვილს.

## ახალი ამბავი

⁂ 24 სექტემბერს საღამოს გზათა მინისტრი ტ. ს. თავ. მ. ი. ხილკოვი საქართველოს სამხედრო გზით ტფილისში ჩამოვიდა თავისის სახლობით და ჩამოხტა „ლონდონის“ სასტუმროში. ბ-ნმა მინისტრმა გუშინ დაათვალიერა ყარსის რკინის გზაზედ ის ადგილი, სადაც მატარებელი დაიმტვრა.

⁂ 24 სექტემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს ის დადგენილება, რომლის ძალითაც თავ. კ. ი. მუხრან ბატონის მამულის გაყიდვა აკრძალულ იქმნა პლიუშჩევსკის საჩივრის გამო. მუხრან-ბატონის მხრივ საქმეს იცავდა ნაფიცი ვექ. გონცაძე, ხოლო მოწინაამდეგის მხრივ-კი ბ-ნი შონი. სამოსამართლო პალატამ უსაფუძვლოდ სცნო ვექილის შონის მოსაზრებანი ამ საქმის შესახებ.

⁂ როგორც ისმის, ვიდრე გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი ტფილისში დარჩება, მას რამდენსამე მოხსენებას წარუდგენენ ამიერ-კავკასიაში რკინის გზის საქმის გაუმჯობესების და ზოგიერთის ახალ გზის გაყვანის შესახებ.

⁂ ტფილისის მოქალაქემ ალექსანდრე ჯავახიშვილმა და თელავის მოქალაქემ იოსკერ ბაბუნიძემ შუამდგომლობა აღძრეს გზათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ მათ ნება მიეცეთ თვით მოძრავი (უცხენო) ეტლები ატარონ ამიერ-კავკასიის გზა-ტკეცილებზედ: 1) ქ. ტფილისიდგან თელავამდე, სიღნაღამდე, შულავერამდე და კავკავამდე, და 2) ტფილისიდგან დ. კოჯორამდე. ამასთან ისინი თხოულობენ, რომ რამდენისამე წლით მარტო მათ დაუსაკუთრონ ასეთის ეტლების ტარების უფლება. ამ შუამდგომლობის განხილვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გზა-ტკეცილები ტფილისიდგან სიღნაღ-შულავერამდე—გზათა სამინისტროს არ ექვემდებარება და რომ თვით-მოძრავ ეტლების მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზაზედ ტფილისიდგან კავკავამდე დიდად გასაჭირია. ხოლო რაც შეეხება თვით-მოძრავ ეტლების მიმოსვლას ტფილისიდგან თელავამდე და დ. კოჯორამდე, ამ მხრით გზათა სამინისტროს დაბრკოლება არ დაუნახავს შუამდგომლობის შესაწყნარებლად, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ მთხოვნელთ არ მიეცეთ განსაკუთრებული უფლება ამ საქმის საწარმოებლად რამდენის წლითაც უნდა იყოს და რომ ამასთან ეტლების პატრონებმა შეასრულონ თვით-მოძრავ ეტლების მუშაობის შესახებ მთავრობის-მიერ დადგენილი წეს-პირობანი.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საგანგებო მინდობილებათა მოხელის ბ-ნის მარკოვის ჩამოსვლას კავკასიაში საგნად აქვს, სხვათა შორის, გადმოსახლებულთათვის საცხოვრებელ ადგილების მოწყობა.

⁂ ბაქოს გუბერნიის პოლიციის დარაჯთა ინსპექტორად დანიშნულია როტმისტრი არჯევანიძე.

⁂ შინაგან საქმეთა და მიწად-მოქმედების სამინისტრო ამ ჟამად იკვლევს საგანს იმის შესახებ, რომ ტფილისში განსაკუთრებული შინამრეწველობის კომიტეტი იქმნას დაარსებული.

⁂ ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ ამ დღეებში განიხილა შემდეგი საქმე: უფლება აქვთ თუ არა საპატიო წოდების კაცთ, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში იმყოფებიან, ჩარიცხულ იქმნან ხელოსანთა ამქრებში. ეს საქმე აღიძრა სამხედრო სამსახურში მყოფ ბ-ნის ც—ის განცხადების გამო, რომლითაც მან მექანიკოსთა ამქრებში ჩარიცხვა ითხოვა. ხელოსანთა გამგეობას გაუძნელდა ამ თხოვნის დაკმაყოფილება იმ მოსაზრების გამო, რომ ხელოსანთა წესდების ძალით მოწმობა შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმათ, რომელთაც ოსტატებთან სწავლა დაუმთავრებიათ, ოსტატის თანაშემწენი გამხდარან, ჰქონიათ ეს წოდება 3 წლამდე და ბოლოს ოსტატის წოდების მისაღებად ეგზამენი გარდაუხდიათ.

საგუბერნიო გამგეობამ, განიხილარა ეს საქმე, განმარტა რომ, ბ-ნს ც—ს უფლება აქვს ამქარში იქმნას ჩარიცხული თავისის წოდების დაცვით და ატესტატი მექანიკოსთა ამქარში შესასვლელად შეიძლება მიეცეს მას გამოცდის შემდეგაო.

⁂ ქალაქის საქალებო საპროფესიო სახელოსნო სასწავლებელში ამ თვეში მიღებულ იქმნა 55 მოსწავლე ქალი, მათ შორის ქართველია 26, რუსი—16, სომეხი—9, ებრაელი 2 და პოლონელი 2.

⁂ ხმოსან ტეხნიკოსთა კომისიამ განიხილა რიყეზედ მტკვრის ნაპირის გამაგრების საქმე და საჭიროდ სცნო, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ იქმნას დაწყებული მუშაობა მდინარის ნაპირის გასამაგრებლად.

⁂ ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ ქალაქის სასწორზედ არსებული განსაკუთრებული გარდასახადი მთლად ქალაქის სასარგებლოდ უნდა მიდიოდეს და ამიტომ კერძო კაცთ უფლება არ აქვთ საკუთრად იქონიონ ასეთი სასწორი.

⁂ დღეიდგან მუშათა სატეხნიკო კურსებთან სახელოსნო სასწავლებლებში დაარსდება აგრეთვე წერა-კითხვის კურსებიც.

⁂ ქალაქის მოურავმა წარუდგინა გუბერნატორს ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა მუშტაიდზედ დიდუბისაკენ საეტლო გზის გახსნის შესახებ. ამ შუამდგომლობაში ნაჩვენებია ის გარემოება, რომ მუშტაიდზედ საეტლო გზის შეკვრის მეოხებით დიდუბის მცხოვრებნი მეტად შევიწროებულნი არიან.

⁂ მომავალ სამის წლის საადგილ-მამულო გარდასახადის განაწილება იმათ შორის, რომელნიც საკომლო გარდასახადს არ იხდიან, როგორც ისმის, შეუცვლელად იქმნა დამტკიცებული კავკასიის უმაღლესის მთავრობის-მიერ.

⁂ როგორც ვუწყით, კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორმა გეევსკიმ და კავკ. საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტმა სპეშნევმა ამას წინად ჩამოიტანეს კახეთიდგან იქაურ ვენახებში დაკრეფილი, ბლეკროტის მგზავსად დაზიანებული მტევნები. ასეთივე მტევნები დაჰკრიფეს მათ თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის ვენახებში სოფ. დილომში. ამ ჟამად კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი არ დასჯერდა თურმე მარტო საკუთარ გამოკვლევას და დაზიანებული მტევნები გაუგზავნა გამოსაკვლევად სამეცნიერო აკადემიის წევრს, საფრანგეთის მევენახეობის ინსპექტორს პროფ. Viala ს, პარიჟის პროფ. Prillieux-ს, ბერლინის პროფ. ფრანკს, აკადემიკოსს ვორონინის და მიკოლოგს იაჩევსკის.

⁂ ამ ჟამად სათანადო დაწესებულება ცნობებს აგროვებს იმ ფულის რაოდენობის გამოსარკვევად, რომელიც ამიერ-კავკასიის საერო თანხიდგან უნდა იქმნას გადადებული კავკასიის მდინარეთა კალაპოტის გასაწესრიგებლად. ამას გარდა ცნობებს აგროვებენ აგრეთვე იმის შესახებ, თუ სახელდობრ როგორი მონაწილეობა მიიღეს მცხოვრებთ კავკასიის მდინარეთა კალაპოტის განწესრიგების საქმეში და აგრეთვე რამდენი ფული და მუშა დასჭირდება ამ საქმეს.

⁂ ქუთაისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა დირექტორი ფ. ზ. ლევიცკი გადაყვანილ იქმნა განჯისა და ერევნის გუბერნიის საქალაქო სასწავლებელთა დირექტორად.

⁂ კახეთში რთველი გათავდა. მოსავალი წელს საშუალოზედ მეტია. ყოველ შემთხვევაში მოსავალმა მევენახეთა მოლოდინს გადააჭარბა. ზოგიერთ ვენახში, რომელიც ზაფხულში კარგი მოვლილი იყო, დესეტინაზედ 300 ვედრო მეტი ღვინო მოვიდა. სხვათა შორის, ახლავე ჰმატულობს ფასი ღვინისა. საპალნე მაჭარში აძლევენ 80 მან., მაშინ როდესაც შარშანდელ ღვინოში 80 მან. აძლევენ საპალნეში. საფიქრებელია, რომ ერთის თვის შემდეგ საპალნე ახალი ღვინო 100—120 მან. გაიყიდოს. („ახ. მ.“).

⁂ „ახ. მ.“-ს ქუთაისიდგან აუწყებენ, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის საქმეთა რევიზია, რომელიც მინდობილი აქვს მთავარ-მართებლის საგანგებო მინდობილებათა მოხელეს ბ-ნს პოგენპოვს, გამოუწვევია ხსენებულ ბანკის ზოგიერთ რწმუნებულთა საჩივარს, რომელიც მთავარ-მართებლისათვის წარუდგენიათ.

---

რიეში ვხედავთ. სულიერს ცხოვრებას ბოლო ელება, ათასჯერ დამტკიცებული სიცრუე კვლავ ჭეშმარიტების ადგილს იჭერს და ხალხი ამას ვერა ჰხედავს. აზროვნობის გაუქმება ყველაზედ უკეთ ამ ჟამად დიდად გავრცელებულს „Petit Journal“-ში იხატება. სულიერმა დაჩლუნგებამ იქამდის მიაღწია, რომ როდესაც ლაბორის თავს დაესხნენ, ბრბო ქუჩაში შემდეგს „conspuer Labori!“ („ნერწყვის ღირსია ლაბორიო!“) გაჰყვიროდა და გამვლელ-გამომვლელნი-კი ყურადღებასაც არ აქცევდნენ. ასეთი გულცივობაც ერთგვარ ავადმყოფობის ნიშანია,—ეს ის ნების გაუქმებაა, რომელიც გამოჩურჩუტებით ბოლოვდება. პროგრესსიულს სიდამბლავეს განდიდების სურვილი მუდამ თან სდევს, ავადმყოფს თავი ქვეყნის შუაგულად მიაჩნია, ოცნებობს, ვითომ უძლიერესნი ამა ქვეყნისანნი მეტს არარასა ჰფიქრობენ იმას გარდა, მსოფლიო გამოფენას როგორ დაესწრნენ, პარიჟის წმიდა ნიადაგზედ ფეხი როგორ შესდგან. მაგრამ ამასთან ერთად დამბლას იპოხონდრიაც ზედ ერთვის და მის მიერ წარმოშობილი იდეები მოსვენებას არ აძლევენ, ეშინიანთ და უფრთხიან ომს, რომელიც აზრადაც არავის მოსდის, და სახელმწიფოს მოწინავე კაცები, სამხედრონი, მინისტრები და გენერლები, ყველანი ერთად, ამ შიშის გრძნობას ამსხვერპლებენ პატიოსნებასაცა და უფლებასაც.

ბუტტეს რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ მკურნალმა შეაყენა, სთხოვა ბოლომდის მოესმინა და განაგრძო:

— უწინარეს ყოვლისა ჯერ უნდა გაცნობოთ ის, რომ ტვინის სხვა-და-სხვა ავადმყოფობას ერთმანეთში დიდი კავშირი აქვთ. აი, ავიღოთ მაგალითად ტვინის შერყევა. უმეტეს ნაწილად იგი მაღლიდგან გადმოვარდნისა და დაცემის შედეგია ხოლმე; პირველი ასეთი დაცემა სედანში მოხდა, მეორე-კი, შედარებით უფრო მცირე, ფაშოდაში. ამგვარ დაცემის შემდეგ ავადმყოფი დიდხანს გდია თვალებ-დაჭყეტილი, მაგრამ ვერასა ჰხედავს. პარიჟიც ესე გასცქეროდა ვოჟეზსა და ვერ-კი ჰხედავდა მის ფერხთ წინ დედა-მიწაზედ რა ხდებოდა. ახლაც ესე უგნურად შეჰყურებს აზიზილ-პიპილებულს ფორმას და ვერ შეუნიშნავს, თუ მთავარი შტაბი როგორ ატყუებს, მისს საუკეთესო ადამიანურს გრძნობათ როგორა ჰლახავს. ავიღოთ ახლა თუნდ ტვინის დალბილება, რომელსაც აუცილებელ შედეგად მეხსიერების დაკარგვა მოსდევს. მარტო ეს უკანასკნელი საუკუნეც რომ ავიღოთ, ამ საუკუნეშიაც-კი რამდენ გზის გახდა საფრანგეთის ერი ულმობელ მტარვალობის მსხვერპლად, და მხოლოდ ხანგრძლივისა და მძიმე სისხლის ღვრის შემდეგ დაიხსნა თავი! მაგრამ ყოველივე ეს დღეს დავიწყებულია და ერი თავისს დამოუკიდებლობის სულის ამოხდას გულგრილად შეჰყურებს. შეგნების შერყევა, რომელიც ისტერიის აუცილებელი თანამგზავრია, ამ ჟამად ეროვნულ მოღალატეთათვის პირველ მიზეზად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ამ მოღალატეთა საუკეთესო თანაშემწე ლანდთა ჩვენებაა, ეს სულიერ შერყევის აუცილებელი შედეგი. ჯაშუშების შიში, 37 მილიონი, რომელიც ვითომ გერმანელ-ინგლისელთა „სინდიკატს“ დაეხარჯოს, წარმოდგენა იმისი, ვითომ თვით გერმანიის იმპერატორი ჰჯაშუშობდეს, ყოველივე ეს ზემოდ აღნიშნული საზარელი მოლანდებ-მობლანდებაა და სხვა არაფერი. ამ გარემოებას შეუძლიან ის, რომ ბოლოს ადამიანს კლასსიკურ გონების სიბნელემდის მიაღწევინებს ხოლმე, რაიცა მტკიცდება იმითი, რომ უუპატიოსნესს კაცს პიკარის ერი საპყრობილეში სვამს და ასეთს საძაგელს-კი, როგორიცაა ესტერგაზი, ეროვნულ გმირადა სთვლიან და მხედრობა ხელის მოწერასა ჰმართავს, რომ შეგნებულ დამნაშავეს ძეგლი დაუდგას.

— ეგ ყველა კარგი, მაგრამ ერთი ეს მითხარით, გამოფენასთან საერთო რა აქვთ?—გააწყვეტინა ბუტტემ ლაპარაკი მკურნალს.—არა, მითხარით ერთი რა მაქვს საერთო პოლიტიკასა და სულიერ ღირსება-ნაკლთან, როდესაც ჩემს მანქანებს ვუპირებ გამოფენაზედ გამოტანას?

— არამც თუ საერთო, ძალიანაც-კი გეხებათ, ბ-ნო ბუტტე,—შეჰნიშნა მკურნალმა. ეჭვი არ არის, გამოფენაზედ იმ მტკიცე აზრით მიდიხართ, რომ მთავრობა თქვენცა და თქვენს მანქანებსაც მფარველობას გაგიწევთ. მაგრამ მითხარით, რას წარმოადგენს დღეს მთავრობა? ვინ იცის ის, რომ ავადმყოფობა ტვინის უკიდურესს ხარისხამდე არ მიაღწევს და ვილაც დერულედი, ან გერენი არ გახდება ქვეყნის მმართველად და სიმაგრეს არ აიშენებენ, საიდგანაც მთელს ქალაქს ტყვია-წამლით მიწასთან გაასწორებენ! არა, ძალიან ბევრი ენაღვლებათ ნაციონალისტებს, თუ სახელმწიფოთ რა საერთაშორისო მოვალეობა აქვთ დაკისრებული? რას ან ვის სცემენ პატივს იგინი? თვით ქვეყნის უმაღლეს მოსამართლეთაც-კი, გენერლებს, სამხედრო სარდლებს, ყველას გაიძვერა-მატყუვრებადა სთვლიან, თუ იმას არ აკეთებენ, რაიცა ნაციონალისტებს მოსწონთ და მოესურვებათ. მითხარით, რამდენად იქნებიან უზრუნველ-ყოფილნი ან გამოფენა ან თვით მონაწილეობის მიმღებნი უცხო ქვეყნელნი, თუ ქვეყნის მართვა-გამგეობა იმ ხალხს ჩაუვარდება ხელთ, რომელიც თვითოეულ არაფრანგს თავისს დაუძინებელ მტრად სთვლის? უცხო ქვეყნელთა და იმათს ქონებას ყოველი მთავრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

*_* იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ შავი-ქვის მწარმოებელთა კრებას განუზრახავს შუამდგომლობა აღძრას, ვის წინაშეც ჯერ არს, იმის შესახებ, რომ დ. ჭიათურა ტელეფონის მართულით იქმნას შეერთებული ქუთაისსა და ფოთთან.

*_* იმავე გაზეთს ქუთაისიდგან სწერენ, რომ შავიქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს განზრახვა აქვს შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ გამოიცეს სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც ელექტრონით განათება უნდა იქმნას შემოღებული შავი-ქვის მაღნებში.

*_* დ. აბაშა, (სენაკის მაზრა). 19 სექტემბერს აბაშაში აქაურმა სცენის მოყვარეთა დასმა წარმოადგინა ა. ცაგარლის ცნობილი პიესა „ბაიყუში". წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო და შემოსავალიც კარგი იყო. ზოგიერთმა მოთამაშეებმა თავიანთი როლები კარგად არ იცოდნენ.

*_* ბ-ნს პეტრე ჭარაიას 25 მან. შეუგროვებია და გამოუგზავნია ოჩამჩირიდგან განზრახულ ქართულ სათავად-აზნაურო საქალებო სკოლის ფონდის გასამდიდრებლად, რისთვისაც „ტფილისის გუბ. თავად-აზნაურთა შეძლებულ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების ქალთა განყოფილების" თავმჯდომარე კნ. მ. გ. ჯამბაკურ-ორბელიანი მადლობას უცხადებს.

## წერილი სოხუმიდგან

(ბაღეულობისა და აბრეშუმეულობის გამოფენა).

17 სექტემბერს დაიწყო სოხუმში ბაღეულობისა და აბრეშუმეულობის გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრო ქუთაისის გუბერნატორი გენ.-მაიორი გერშელმანი, დაწესებულებათა წარმომადგენელნი, ქალაქის მოურავი ხმოსნებითურთ და სხ. უმთავრესს მონაწილეობას გამოფენაში ადგილობრივი ბაღების პატრონები იღებდნენ. ზოგ მათგანს საკუთარი ფარდულები აქვთ გაკეთებული თავიანთ ექსპონატების დასაწყობად. იმათ მოსდევს სკოლები და შემდეგ კერძო კაცნი. ყვავილეულობისა და სადეკორაციო მცენარეულობათა შორის პირველი ადგილი დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის ბაღიდგან მოტანილს ექსპონატებს უჭირავს. რაც შეეხება ხილეულობასა და მეფუტკრეობას, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ ვერც ერთი ვერ შეედრება ბახვის (გურიაში) ორ კლასიან სასწავლებლის, ალექსანდროვსკის (სოხუმის ოლქის) ორ-კლასიან სასწავლებლისა და ფოთის ქალაქ-კლასიან სასწავლებლის ექსპონატებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ალექსანდროვსკის ორ-კლასიან სასწავლებლის ექსპონატთა შორის უზარმაზარი გოგრები, რომლებიც თითო ქვეში შვიდი ფუთი იქნება და აფხაზური გაზის „კაჭაჭის" ნამოყი, რომელიც იმოდენაა, რომ ადვილად შეიძლება ფიცრებად დაიხერხოს. ერთის სიტყვით, ზეპირად დაუმტკიცებია ამ სკოლის ზედამხედველს ბ-ნ ადამიას თავისი შრომის-მოყვარეობა და ცოდნა ამ საქმეში და ახლაც არწმუნებს სხვებს. ძალიან ჰკოჭლობს სოხუმის საცდელი მინდორი და სადგური: მათი ექსპონატები ისეთ ბნელს კუთხეში მიუჩქმალიათ, რომ ვერც კი შეამჩნევს კაცი; გარდა ამისა, მცენარეებს არ აწერია რა ხნის დარგულია ანუ დათესილი, რომ კაცმა წარმოდგენა იქონიოს, რა მცენარე როგორ კარგობს უწყებულს ნიადაგზე, როგორც ფოთის სასწავლებელი მოქცეულა.

აბრეშუმეულობის ქსოვილებში შეუდარებელია ბათუმის სახელოსნო სასწავლებლისაგან გამოფენილი ქსოვილები. ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ ეს ჩვენებური ნაწარმოებია და არა საზღვარგარეთული. აქვე ტფილისის საბრეშუმო სადგურიდგან მოტანილი საფეიქრო, ძაფის ამოსახვევი მანქანა და სხ.

19 სექტემბერს, ნაშუადღევის ოთხ საათზედ, ლექციების კითხვა იყო დანიშნული. ლექცია წაიკითხა ბ-ნმა კლაუსენმა ხეხილების მოშენებასა და მოვლის შესახებ. ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო და ვინც დაესწრო, ისიც ან ვაჭრები და ან მოხელეები. სოფლის ხალხი, რომელიც მიწას მუშაობს და რომლის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს გონივრული მოვლა-მოშენება ხეხილისა, სრულიად არ დასწრებია. ამას მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ გამოფენა არის გამართული ბულვარში, სადაც ისედაც კრძალვით სოფლელს სვლა, და ახლა, როდესაც ეს ბულვარი ათას გვარის ნაირადებით საგრელეს და „კავკარდიანი" ხალხით გაივსო, ჯოხითაც ვერავის შერეკავთ იქა; გარდა ამისა, შესვლისათვის ფული უნდა გადაიხადოს და ეს-კი ყველას არ შეუძლიან. ამ დღეებში აბრეშუმის მოვლისა და ძაფის ამოხვევის შესახებ ლექციებს წაიკითხავს ქართულად ბ-ნი ქუთათელაძე. ცხადია, ქართველი საზოგადოება, რომელიც მოკლებულია თავის დედაენაზედ გაიგონოს რამე სოხუმში, ისარგებლებს ამით.

19-სავე, საღამოს შვიდ საათზე, კრება ჰქონდათ ბაღეულობის კულტურის მოღვაწეთ, ადგილობრივის ბაღების პატრონებთან ერთად, ოლქის სამმართველოს დარბაზში. კრებაზე, როგორც თავმჯდომარის ბ-ნ ლამაკინის სიტყვით გამოირკვა, სოხუმის საცდელი სადგური და მასთან არსებული მინდორი ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებასა. არ აქვთ საკმაო მცენარეები, რომ დააკმაყოფილონ მსურველნი და ბაღის ყოველთვის დაკეტილია და შეუძლებელია იმისი დათვალიერება. კრებამ გარდასწყვიტა დაათვალიეროს საცდელი სადგური და მასთან არსებული ბაღი; აღნიშნოს მისი ნაკლულოვანება და სთხოვოს, ვისაც ჯერ არს, შევსებულ იქმნას, რაც აკლია ბაღს.

შემდეგ ბ-ნმა შაროვმა სთქვა, რომ ხშირად მომმართვენ ხოლმე და მთხოვენ: შეიძლება, თუ არა აბრეშუმმა იმოდენა სარგებლობა მოიტანოს სოხუმის ოლქში, რომ ჰფარავდეს მისთვის დროსა და შრომის დაკარგვაო. რომ აბრეშუმი სოხუმის ოლქში ივარგებსო, განაგრძო ბ-ნმა შაროვმა, ამას ის გვიმტკიცებს, რომ ძველად, ჩერქეზებისა და აფხაზების გამევებამდის, აქ ეს დარგი წარმოებისა ჰყვაოდაო. ამის მოწამენი უზარ-მაზარი თუთის ხეებია, რომლებითაც ახლა სავსეა ტყეებიო. რაც შეეხება პარკის ღირებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ქუთაისის გუბერნიის პარკს პირველი ადგილი უჭირავს მარსელის ბაზარშიო. აბრეშუმი უსათუოდ დიდ სარგებლობას მოიტანს სოხუმის ოლქში, მხოლოდ საჭიროა თუთის კულტურულად გაშენება, რომ მეაბრეშუმეები ისეთ გაჭირვებაში არ ჩავარდნენ, როგორც წელს თუთის ფურცლის უქონლობის გამო. ამისათვის საჭიროა სანერგეები იქმნას დაარსებულიო.

კრებამ გარდასწყვიტა: აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, დაარსებულ იქმნას ორი სანერგე სოხუმის ოლქისა და შავი ზღვის გუბერნიისათვის. ამის შემდეგ კრებები გაიმართება ყოველ საღამოს, ვიდრე გამოფენის გათავებამდე.

მექი

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ იმ საბუთის ქაღალდებში, რომლებიც როიალისტების სახლების გაჩხრეკის დროს იპოვნეს, გენერალ გალიფეს წერილიც ურევია, ორლეანის ჰერცოგთან გაგზავნილი, რომელიც სახელს უტეხს სამხედრო მინისტრსო. გალიფემ, რომელსაც საზოგადოდ არ უყვარს ორპირობა და გამოურკვეველს მდგომარეობაში დატოვება საზოგადოებისა, გავრცელებულ ხმის შესახებ შემდეგი წერილი გაუგზავნა „ფიგარო"-ს რედაქტორს გაზეთში დასაბეჭდად:

„ბატონო რედაქტორო! გამოტეხილი უნდა გითხრათ, მივსწერე წერილი ორლეანის ჰერცოგს, და, ყოველივე ეჭვის ასაშორებლად, აგიხსნით საქმეს.

1898 წლის ნოემბერსა თუ დეკემბერში ორლეანის ჰერცოგმა პატივი მცა და გუდ-ნორტონში სანადიროდ მიმიპატიჟა. მე ვუპასუხე ჰერცოგს, რომ ისე მდიდარი არა ვარ,—თქვენი თხოვნა შევასრულო და გეწვიო-მეთქი.

რამდენისამე დღის შემდეგ ჩემი მეგობრის მარკიზ დე ლოს პირით შემომითვალა ჰერცოგმა, რომ თქვენი მოგზაურობის ხარჯს მე ვკისრულობო. მაშინ მე ვუპასუხე სიტყვიერად, რომ არც ისე ღარიბი ვარ, რომ მოწყალება მივიღო-მეთქი.

ამას შემდეგ ერთი სიტყვაც არ მიმიწერია ორლეანის ჰერცოგისათვის, და არ მესმის, ვიღაც „კოლექციონერმა" რატომ ამოჰკვლია ეს წერილი, რომელიც იმ დროს დავწერე, როცა აზრადაც არა მქონია სამხედრო მინისტრობაო".

**ინგლისი და ტრანსვაალი.** როგორ ემზადება ინგლისი საომრად, შემდეგი მაგალითებიდგან სჩანს: შეერთებულს შტატებში შეუკვეთა აუარებელი რიცხვი რკინის გზის ვაგონებისა სამხრეთ აფრიკისათვის. ჩიკაგოდგან იუწყებიან, რომ ერთმა აქაურმა მდიდარმა ფირმამ, რომელიც ცხენებით ვაჭრობს, წინადადება მიიღო ლონდონიდგან, რომ რამდენ ცხენსაც იშოვის, იყიდოს მძიმე არტილერიაში შესაბმელად სამხრეთ აფრიკაში და დაუყოვნებლივ ჩასხას გემებში დანიშნულებისამებრ გასაგზავნად. ახლა ორლეანიდგან იუწყებიან, რომ დიდმა ბრიტანიამ შეიძინა სამხრეთ აფრიკაში გასაგზავნად 3000 ჯორი და კიდევ უნდა იყიდოს, სანამ 10 ათასამდე არ შეასრულებსო. გარდა ამისა, ამერიკაში დაუქირავებია ინგლისს 300—500 მესახედრე, რომელნიც ამერიკის ესპანიასთან ბრძოლის დროს კუბაზედ მსახურობდნენ.

ერთი გაზეთის სიტყვით, ინგლისსა და პორტუგალიას შორის განსაკუთრებითი ხელშეკრულება არსებობს, რომლის ძალითაც ინგლისს სრული უფლება აქვს თავისი ჯარები პორტუგალიის სამფლობელოში გაატაროს, თუ საჭიროება მოითხოვს. ინგლისის სადესანტო გემები დელაგოას ნავთსადგურში (პორტუგალიის სამფლობელო) იქნებიანო. პორტუგალიის გაზეთები იმეორებენ, რომ თუ ჩვენს სამფლობელოს თავს დაეცნენ ბურები, ინგლისი გვიშველისო.

ტრანსვაალიც დროს არ ჰკარგავს და დიდის გულმოდგინებით ემზადება მტრისათვის დასახვედრად. იოჰანესბურგიდგან აუწყებენ „Morning Post"-ს, რომ ტრანსვაალს გარდაუწყვეტილი აქვს 2000 კაცი გაჰგზავნოს როდეზიაში, სადაც ინგლისელებს ერთობ მცირედი ჯარი ჰყავს; დაამარცხოს იქ ინგლისის და ადგილობრივ მცხოვრებლებს გარდასცეს ის ქვეყანაო. მეორე ჯარს, რომელიც 10,000 კაცისაგან შესდგება, ნატალში გაჰგზავნის იქაურ სიმაგრეების დასაჭერად. მესამე ჯარი ინგლისის საშველ ჯარს გზას შეუკრავსო.

მუდმივ ჯარსა და ვოლონტიორებს

---

გაუწევს მფარველობასა. ეს ყოველს ეჭვს გარეშეა.

— ეჭვს გარეშე-კი არა, ახლა პარიჟში, პირიქით, ყოველივე დიდად საეჭვოა! მეც აგრე ვფიქრობ, შეიძლება ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიაროს-მეთქი, მაგრამ ვინ იცის, როდესაც „ქვეყნის თავი" დაავადმყოფებულია, მაშინ ყველა საეჭვოა. წარმომიდგენია რა საშუალებით გაგიწევენ მფარველობასა, თუ გერენმა საშუალო საუკუნეთა საპყრობილენი „სამთა მუშკატერთა" რომანტიზმითურთ კვლავ მკვდრეთით აღადგინა? რას აპირებთ ნეტა, ამ ახალმა რაინდმა რომ თავისს ციხე-სიმაგრიდგან თქვენი გაძარცვა მოინდომოს! მაგრამ ასე შორს წასვლა რა საჭიროა. წარმოიდგინეთ მხოლოდ, რომ გაგქურდეს და მოწმებიცა გყავთ. მიდიხართ სასამართლოში და მოწმებს ასახელებთ. მაგრამ რა? წარმოიდგინეთ, თქვენ მიერ დასახელებული მოწმეები ყურსაც არ იბერტყენ და არ მოდიან, არ მოდიან კი არა, პასუხსაც არ იძლევიან. ჩვენ ეს ნათლად დავინახეთ ესტერგაზიზედ და კვალად ერთი სხვა ნამდვილი ფრანგზედ—მიულლერზედ, რომელმაც ვითომ დიდ-აზროვანი საბუთის ქაღალდები ჰნახა (?) თავისის საკუთარის თვალით იმპერატორის საძილო ოთახში პოტსდამს, მაგრამ... როცა... მოსამართლეთა წინაშე გამოცხადებაზედ უარი სთქვა. საფრანგეთში ასეთი კანონია, რომ მოწმეს ძალით ვერ მოიყვან და მოსამართლეებსაც მეტი არა დარჩენოდათ-რა, რომ თავისი განცვიფრება მხრების შეშმუშვნით აღენიშნათ. თქვენც ესევე დაგემართებათ, თუ საფრანგეთში სამართალს დაუწყებთ ძებნას.

— ბ-ნო მკურნალო, ეგ ხომ გადაჭარბებული, აზრ-აკვიატებული საქმის გაბერვაა. იშვიათი საპოლიტიკო პროცესი ამ შემთხვევაში სრულიად შეუძლებელია ყოველ დღიურ სამართლის მოთხოვნილებას შევადაროთ, მაგალითად, იმის გადაწყვეტას, თუ ჩემი რაა, შენი რაა.

— არა, ბ-ნო ბუტტე, სადაც დიდი საქმეები არ არის, იქ არც პატარა იქნება. იქამდის საეჭვოა დღევანდელი სჯულის საქმე საფრანგეთში, რომ უმაღლესს სამოქალაქო მსაჯულად, წარმოიდგინეთ, კვენე-დე-ბორეპერიც-კი იყო, ეს ჭკუა დაბნეული, შეშლილი ადამიანი!

— ასეთი შემთხვევა ხომ შეიძლება ყველგან მოხდეს. განა ჩვენ-კი არა გვყავდა მოსამართლედ ბრაუზევეტტერი?

— დიაღ, მართალია, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, როგორც-კი შეშლილობა შეჰნიშნეს, იმ დღიდგანვე ყველა ავადმყოფად სცნობდა. პარიჟში-კი, წარმოიდგინეთ, სულ სხვაა. აქ დღესაც-კი არის ისეთი გაზეთი, რომელიც ამ სულით ავადმყოფ ადამიანის წერილებს ჰბეჭდავს; ხალხი ამ წერილებს კითხულობს, ერთის ადგილიდგან მეორეში დეპეშით ჰგზავნიან და ზოგიერთი იმას მამულის მხსნელ გმირადაც-კი სთვლის.

ბუტტემ ახალს სიგარას მოუკიდა.

— თქვენ, რასაკვირველია, ყველაფრის თქმა შეგიძლიანთ, ბ-ნო მკურნალო,—მიუგო ბუტტემ,—მაგრამ ამას-კი გეტყვით, მე მაინც ვერ შემაშინებთ. თუნდაც ერთს ასთან მომიხდეს კამათი, მე მაინც იმ აზრისა ვიქმნები, რომ გამოფენა აუცილებლივ გაიმართება და დიდ სახელსაც მოიხვეჭს.

— შესაძლებელია უცხო-ქვეყნის ერთან მოხვედრამ ეს სნეული კიდეც გამოაჯანმრთელოს, მაგრამ მეორეს მხრივ ისიც შესაძლებელია, რომ ეს დიდებული დღესასწაული მომავალის საუკუნეს სრულიად დაცემის აპოთეოზადაც გარდიქმნეს, რაიცა მენელიქსა და მის მაგვარ მეფეთ აღტაცების წყაროდ გარდაიქცევათ. ჭკუიდან შეიშლება ადამიანი, როს წარმოიდგენს, რომ ეს დღესასწაული იმართება იქ, სადაც ესრედ მდაბლად და პირუტყვულის სიტკბოებით ილახება საკაცობრიო კულტურის საუკეთესო ნამოქმედარი, თითქოს ყველა ერთად შეშლილიყოს, გამხეცებულიყოსო.

ბუტტემ გულიანად გადიხარხარა.

— მაშ რა გეგონოთ, განა შეიძლებოდა აგრე არ იყოს,—რაკი პარიჟი მისი ტვინია?

მკურნალმა განცვიფრებით შეჰხედა და მიუგო:

— არა, ამ სახელში განდიდების სურვილი უფრო მეტია, ვიდრე ჭეშმარიტებ. პარიჟი საფრანგეთის თავია და არა მთელის ქვეყნიერებისა. სწორედ რომ შესაბრალისია ეს ქვეყანა; აქ თვითოეული წევრი ტვინის ნერვების წვასა ჰგრძნობს და იტანჯება. დანარჩენნი კი მხოლოდ პათოლოგიურის ყურადღებით უცქერიან, თუ მათ თვალ-წინ როგორ ვრცელდება ავადმყოფობა. მხოლოდ ერის საუკეთესო ნაწილი-ღაა სალი მთელს სხეულში, იგი ეწინააღმდეგება შესანიშნავის ძალით სიკვდილს, მხოლოდ მისთვის-ღაა სასურველი კვლავ გამრთელება. მაგრამ თუ ეს არ მოხდა, მაშინ-კი ავადმყოფს მორიდება უნდა, რომ მომავალი უბედურება,—ფრანგთა გაბარბაროსება, თავიდგან ავიცილოთ.

ბუტტე წამოდგა.

— მკურნალო, შესძახა ბუტტემ, მშვიდობით მომავალ წლამდის, გარწმუნებთ, ბარბაროსობა ჯერ კიდევ ვერ მიაღწევს იმ საშიშ წერტილამდის, რომ Maxim-თან გემრიელი ვახშამი ველარა ვსჭამოთ. ამისათვის ახლავე გეპატიჟებით ვახშმად. ნახვამდის!

ინ—ანი

გარდა, თითოეული მოქალაქე ტრანსვა-ალის მხედრად ითვლება. თუ საჭი-როებამ მოითხოვა, ყველა ტრანსვა-ალელი გალდებულად რაცხს თავისს თავს საომრად წავიდეს. ახალგაზდა ბურს, როცა 16 წლისადი უსრულდე-ბა, თოფი ეძლევა, რომელსაც ის სი-კვდილამდე არ მოიშორებს. ქვეყანას თუ განსაცდელი მიადგა, ბური თავისს თოფს აიღებს ხოლმე ხელში, პატრო-ნებს გადაიკიდებს, ცხენს შეკაზმავს, ხურჯინში 14 დღის საგზალს ჩაალა-გებს და ლაშქრად მიდის.

**ოსმალეთი.** როგორც აუწყებენ გაზეთებს კონსტანტინეპოლიდგან, გან-საკუთრებულს კომისიას, რომელიც ილდიზ-კიოსკში შეკრებილი სომხე-ბის საქმეების შესასწავლად, დეპეშით მოუთხოვია მცირე აზიის ყველა გუ-ბერნატორისაგან სიები დაპატიმრებულ სომხებისა, რომლებიც, მათის აზ-რით, სასჯელის მიტევების ღირსნი არიან; აგრეთვე სია სომხეთა ეკკლე-სიების, მონასტრების, სკოლების, თავ-შესაფართა და სხ., რომლებიც დანგ-რეულ იქმნა არეულობის დროს. აქედ-გან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ კო-მისიას აზრად აქვს სთხოვოს ხონთ-ქარს დამნაშავე სომხებისათვის სასჯე-ლის მოტევება და სომხეთა დანგრე-ულ შენობების განსაახლებლად ფუ-ლებით.

## დამავიწყდა

ნუ სწყრთ, თუ თავის შემაგრება შე-გიძლიანთ.

კარმენ სილვა.

***

ვინც ცოლს ნებას მისცემს და დღეს ფეხზედ ფეხს დაადგმევინებს, იმას ხვალ მეუღლე თავზედ წამოაჯდება.

ჩინური ანდაზა

***

ქვეყანა, სადა დავიბადე მე და მამა-პაპანი ჩემნი; ენა, რომელიც მომეცა სასხრად უხნობისა დაბადებითვე; კერა, რომელიც მათბობს და გონებასა შინა მიშლევს მრავალს გადმოცემას, — ყველა ეს ჩემთვის დედის რძესავით ტკბილია და საუდარსავით წმიდა, უსაღმთოესი.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

უნივერსიტეტების სიმრავლით გერმანიას შეერთებულ შტატების შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს, სულ გერმანიაში 50 მი-ლიონი მცხოვრებია, ხოლო უნივერსიტეტი 21. ამ უნივერსიტეტებში ირიცხება 2500 პროფესორი და 40,000 სტუდენტი. სტუ-დენტთა რიცხვით ყველას ბერლინის უნი-ვერსიტეტი სჭარბობს, სადაც 11,000 სტუ-დენტია და 400 პროფესორი. ეს უნივერ-სიტეტი დაარსებულია 1809 წელს. მეორე ადგილი უჭირავს მიუნხენის უნივერსიტეტს, სადაც 4014 სტუდენტია და 186 პროფე-სორი. ეს უნივერსიტეტი წინად არსებობდა პატარა ქალაქ ლანდსხუტში. მიუნხენში 1826 წელს გადმოიტანეს. გერმანიის უნი-ვერსიტეტი განთქმულია შესანიშნავის და ხელოვანის პროფესორებით. სტუდენტებს გერმანიაში ერთი კარგი ჩვეულება აქვთ. იშვიათად იქმნება სტუდენტი, რომ ერთის უნივერსიტეტის გარდა სხვაგან არ მოესმი-ნოს ლექციები. უმეტეს ნაწილად სტუდენ-ტები ერთის უნივერსიტეტიდგან მეორეში გადადიან და ასე სწავლის დამთავრებამდე თითქმის ყველა უნივერსიტეტს მოივლიან და ყველა შესანიშნავის პროფესორის ლექ-ციას მოისმენენ ხოლმე. ცხოვრება სტუდენ-ტისთვის გერმანიაში ბევრად უფრო ძვი-რია, ვიდრე, რუსეთში. პატარა საუნივერ-სიტეტო ქალაქშიაც-კი სულ ცოტა 60 მან. მაინც უნდა სტუდენტს თვეში საცხოვრებ-ლად; სწავლის ფასი კიდევ სხვაა. აქვე მო-ვიხსენიებთ, რომ გერმანიას უნივერსიტეტე-ბის სიმრავლით (რასაკვირველია მცხოვრე-ბთა რაოდენობასთან შედარებით) შვეიცა-რიაც არ ჩამოუვარდება. შვეიცარიაში 7 უნივერსიტეტია, სადაც 4500 სტუდენტი სწავლობს.

***

ამერიკის ერთი მივარდნილ და მიყრუე-ბულ კუთხეში, სადაც რკინის გზები თით-ქმის სულ არ მოიპოვება და მკურნალებიც ნაკლებად არიან, ერთ ექიმი სცხოვრობს თურმე. ამ ექიმს რამდენიმე სოფელი აქვს ჩაბარებული, მაგრამ ეს სოფლები ისე შო-რი-შორს არის ერთიმეორეზედ, რომ ვერ ასწრობს ხოლმე თავისს დროზედ დავლას და ავადმყოფების გასინჯვას. ასეთის უხერ-ხულობის თავიდგან ასაცილებლად მკურ-ნალს შემდეგი ხერხი მოუგონია: შეუძენია ბლომად საფოსტო მტრედები და ყველა სოფელში თითო ან ორ-ორი დაუტოვებია. თუ ვინმე ავად გახდა, ხელად ამ მტრედს ბარათს მოაბამენ და გაგზავნიან ექიმთან. ამ რიგად ექიმს ყველა სოფლის დავლა აღ-არ უხდება, პირდაპირ იმ სოფელში მიდის, სადაც ავადმყოფია.

***

ამას წინად ერთი ამერიკელი მეცნიერი, გვარად დექსტერი მეტად საინტერესო გა-მოკვლევას შესდგომია, სახელდობრ იმას, თუ ამინდს რა გავლენა აქვს ადამიანზედ. თავისი გამოკვლევა დექსტერს უკვე დაუმ-თავრებია და დაუბეჭდია კიდეც ერთს ამე-რიკულს ჟურნალში შემდეგის სათაურით: „ყოფა-ქცევა და ამინდი“. დასახელებული მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეს თუ ის საქ-ციელი, ყოფა-ქცევა ადამიანისა, ამა თუ იმ ამინდის შედეგიაო.

მეცნიერს გამოსაკვლევად შემდეგი ხერხი უხმარია. აუღია სტატისტიკური ცნობები როგორც სხვა და სხვა დანაშაულობის, აგ-რეთვე ამინდის შესახებ, უდარებია ეს ცნო-ბები და დასკვნა ისე დაუდგენია. ცნობებს დექსტერი ყოველდღე ადარებდა თურმე მთელის წლის განმავლობაში. გამოკვლევის დროს დექსტერი სარგებლობდა ერთის მხრით სამეტეოროლოგიო სადგურების შე-ნიშნულებით, მეორეს — პოლიციის, სასამა-რთლოების და სასწავლებლების ანგარიშე-ბით. დექსტერის აზრით, სიცხე და ქარი კაცს აღელვებს, დანაშაულობის ჩასადენად იწვევს, ხოლო სიცივე, მოღრუბლული ამი-ნდი და წვიმა აწყნარებს, ამშვიდებს. რასა-კვირველია, ამინდი ყველგან ერთნაირად არ მოქმედებს ადამიანზედ. ქარი, მაგალითად, მოქმედებს და აღელვებს კაცს იქ, სადაც იგი იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, სადაც ხალხი არ შეჩვევია მას. ნიუ-იორკში ქარს გავლენა არა აქვს ადამიანზედ, რადგანაც აქ ქარი ჩვეული ჭირია. სამაგიეროდ დენვე-რსა და კოლორადოში როდესაც ქარი უბე-რავს, მცხოვრებთ აღელვება ეტყობათ. ქა-რიან დღეებში დენვერის სკოლის მოსწავლე-ები გაცილებით უფრო მეტად ცელქობენ, ვიდრე ჩვეულებრივ დღეში, ასეთივე ამბავი ხდება ჩრდილო ამერიკაში, ბუენოს-ჰაერებ-შიაც. იქ ხალხი თითქმის გიჟდება ჩრდი-ლოეთის ქარის დროს. ქუჩებში ყველანი გაბრაზებულნი დადიან, ათასგვარი უწესოე-ბა და სისაძაგლე სწორედ ამ დროსა ხდება ხოლმე. სასამართლოში ბევრჯელ მკვლელნი თავიანთ მიერ ჩადენილ მკვლელობას ამ ქარს ბრალდებენ ხოლმე. დექსტერის სიტ-ყვით, სხვა ქვეყნებშიაც ამინდს ასეთი გავ-ლენა აქვს ადამიანზედ.

## გამოსადეგი ცნობა

—

შეიძლება ახლად დაჭერილის თევ-ზით მოიწამლოს ადამიანი, თუ ის თე-ვზი შხამიანის რამ ნივთიერებით არის დაჭერილი, ან იმ დროს არის დაჭე-რილი, როდესაც ქვირითს ჰყრის, და სხ. შხამიანს თევზს იმითი შეეტყობა, რომ უკითელი კბილები აქვს და თუ ლაყუჩში ხალასის ვერცხლის ნაჭერი ჩაუდეთ, ხარშვის დროს უკითელი ფე-რი მიეცემა.

## გაზართობი

### უმანკო ქალი

გნებათა ღელვით გატაცებული,
ოდეს მხურვალედ მიძგერდა გული,
დავემხე მის წინ, ტურფას გავანდე
ჩემნი ტანჯვანი და სიყვარული.

—

შეჰკივლა, ბრაზი ვერ აიტანა,
დამტუქს-გამკიცხა... თან დაატანა:
— „ეგ რა მითხარით, არა გრცხვენიანთ!?
არ მოველოდდა მაგას თქვენგანა!...

—

„ქმრის მეგობარი?... მუხლთ მიდუ-
[ნდება...
ქვეყანა რად არ გადაბრუნდება?!.
კიდევ კარგია, რომ ჩემი ქმარი
ამაღამ ჩქარა არ დაბრუნდება...

—

„ფანჯარაც ღიაა?.. ღმერთო, მომკალი!.
ეგ-და მაკლია, რომ მოგვკრან თვალი?!..
სანთელიც იწვის“... და მსწრაფად გა-
[ბრუნდა...
მის გასაქრობად უმანკო ქალი.

ა. ახნაზაროვი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 სექტემბერი

**სევასტოპოლი.** სიამის პრინცი მოვიდა აქ „ოლეგის“ ხომალდით და აქედგან პეტერბურგს წავიდა.

**კაპშტადტი.** ფოლკფრუსტიდგან მიღებულ დეპეშიდგან სჩანს, რომ გუშინ იქ სამხედრო თათბირი ყო-ფილა, რომელშიაც მონაწილეობა მიუღია გენერალ ჟუბერსა და ჯა-რის ყველა უფროსებს. ამ თათბირის დროს მორიგდნენ, რომ ბურები სა-ტევ მოქმედებას არ უნდა დაადგნენ ამ ახლო ხანებშიო.

**ლონდონი.** გაზ. „Standard“-ის ლისსაბონელი კორესპონდენტი იუ-წყება დეპეშით, რომ, როგორც სა-რწმუნოდ შევიტყე, ინგლისი პატივ-ცებით მოეკიდება პორტუგალიის უფ-ლებათ დელაგოას ყურეში, ხოლო თუ რომელიმე სხვა დიდი სახელმ-წიფო ხელს გაიწვდის ლორენცო-მარკეზესაკენ და პორტუგალია ვერ შესძლებს იმისს წინააღმდეგობას, ინ-ინგლისი იქ მყოფ სამხედრო გემების წყალობით შეიძლებს წინააღმდეგობა გაუწიოსო. თუ ვინიცობაა რაიმე სამტრო მოქმედება დაიწყო ტრან-სვაალის წინააღმდეგ, პორტუგალიის ფლოტს მიეწერება ნება არ დარ-თოს, რომ მასალა გადაჰზიდონ ტრა-ნსვაალში პორტუგალიის მიწა-წყლი-დგანაო.

25 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერა-ტორმა უმაღლესად კეთილ ინება და ჰბრძანა ერთის წლით გადაედოთ ვა-და ჯარში გაწვევისა იმ უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლეთა, რომე-ლნიც 1900 წელს უნდა ყოფილიყვ-ნენ სამხედრო ბეგარის გარდასახდე-ლად მოწვეულნი ამ წლის გაზაფხუ-ლზედ არეულობაში მონაწილეობი-სათვის, თუ სამოსწავლო მთავრობი-საგან ჯეროვანი მოწმობა მიეცათ იმის შესახებ, რომ არავითარი დაბ-რკოლება არ არის მიღებულ იქმნენ ისინი ისევე სასწავლებლებში ამა მი-მდინარე წელსავეო.

**პიატიგორსკი.** ანდრია ვასილის ძე პასტუხოვი, ცნობილი გამომკვ-ლეველი კავკასიისა, რომელიც ორ-ჯელ ავიდა იალბუზის მწვერვალ-ზედ, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პიატიგორსკს 23 ამა სექტემბერს.

**ვილდპარკი.** იმპერატორი და იმპერატრიცა აქ მოვიდნენ საღამოს $10^1/_4$ საათზედ.

**ვენა.** სტატს-სეკრეტარი ბიულო-ვი მოვიდა აქა ზემმერინიდგან და სადარბაზოდ იყო გრაფ გოლუხოვს-კისთან.

პეტერბურგის ბირჟა, 2 4 სექტემბერი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% [illegible] მომგებიანი [illegible] ბის ფურცლები სახელმწიფო [illegible] დ-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 207 |
| $3^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $93^1/_2$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | 101 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | 100 | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 | — „ |
| $4^1/_2$% იმავე ბანკისა | — „ | 95 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | — „ |
| $4^1/_2$% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | $296^1/_2$ | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | „ — | — „ | 260 |

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ქვე-მო დასახელებულ კაცთ, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი გამოეტანათ ჩემდა სასარგებლოდ, და მით საშუალება მომცეს შევსულიყავ თავისუფალ ყურის-მგდებლად მოსკოვის საიმპერატორო უნი-ვერსიტეტში: კნეინა ალათი შერვაშიძისამ, კნეინა ელისაბედ დადიშქელიანისამ, ქალბა-ტონმა მარიამ ჩაჩავასამ — სამ-სამი მანეთი; კნეინა მარიამ ანჩაბაძისამ, ქალბატონმა ნა-ტალია მაჭაროვისამ, ელენე გაბუნიასამ, ანეტა დავითაიასამ — ორ-ორი მანეთი; ელი-საბედ შუბინამ — 1 მ., ექიმმა გრიგოლ იო-სების-ძე ვოლსკიმ, ექიმმა გრ. ელიავამ, ა. პრაველნიკოვმა, ი. მურომოვმა, ნ. საბაევმა, ბატ. ხუდადოვმა, მელ. ანჯაფარიძემ, მღვდელმა მ. გვაზავამ — სამ-სამი მანეთი; ბა-თუმის საურთიერთო საკრედიტო ბანკის მმართველმა, ბატ. გოგიჯანოვმა — 4 მან., ექვთიმე ბერძნიშვილმა 1 მ. 50 კ., ნ. მე-სხმა — 1 მ, დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა და არჩილ იოსელიანმა — ხუთ-ხუთი მან., პორუჩიკმა ივლ. ქავთარაძემ, სპირიდონ ლევანის ძე ნარაკიძემ, იოსებ ლოლუამ, სტეფანე თურქიამ, ი. ლომინაძემ, საჩინო თურქიამ — ორ-ორი მან., ბლაღოჩინმა დ. მარღანიამ, მთავარდიაკონმა გ. გეგეჭკორმა, ა. თოიძემ, ივ. კაკაბაძემ, მიხ. გოგინოვმა, მ. თედორაძემ, ლ. ხუნგიამ, ი. ლოლუამ, ივ. ცეცხლაძემ, ერქომაიშვილმა, დიმ. ჭამ-ქონიძემ, ალექსი თურქიამ, ფარ. გაბუ-ნიამ, პავ. გუგუშვილმა, ნიკო ჩიქოვანმა, გახუ თურქიამ, ბ. გვალიამ, გ. ხოჭოლა-ვამ — თითო მანეთი. აგრეთვე გულითად მადლობას მიუძღვნი ქალბატონს ოლღა ელიავასას, რომელმაც კეთილ ინება და ბ-ნ პეტრე ჩაჩავას დახმარებით შემიგროვა დ. ოჩამჩირეში ვაჭართა შორის 17-ი მან. ფული, რაისათვის ჩემს წრფელ მადლობას უცხადებ შემომწირველებს.

ნიკო ვასილის ძე ხევცურიანი


# განცხადებანი

# ისყიდება
## ორ-სართულიანი სახლი

დიდუბეში, შერემეტევის ქუჩაზედ, წყლის კრანის ახლო, № 23. ფასის შეტყობა იქვე შეიძლება, სახლის პა-ტრონის ლაზარე კვაჭაძისაგან.

(5—155—2)

პეტერბ. სამკურნალო გამგეო-ბის ნება-რთვით. დიდი კოლო-ფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. — 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამა-გრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი სა-შუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის განაზებლად და გასათე-თრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეჭეჭებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა — 2 მან., პატარა — 1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუ-მერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერ-ბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყო-ფილებანი აქვს ტფილისში — ერევნის მოედ. სააფთიაქო სა-ქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტა-კოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

(100—150—9)

თ. გიორგი სოლომონის ძე ყარალაშვილი გულითადის მწუ-ხარებით აცნობებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას თავისს საყვარელის შვილის

# ნიკოლოზისას.

პანაშვიდი იქმნება მიხაილოვის საავადმყოფო სადგურში 26 სექტე-მბერს 12 საათზედ, გასვენება იქიდგან მოხდება ალექსანდრე ნევე-ლის ეკკლესიაში 27 სექტემბერს, დილის ათს საათზედ.

(1—158—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 25-го Сентября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.